

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წარმომადგენლობითი საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №06

ქ. ბათუმი

29 სექტემბერი, 2015 წ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის

დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს თანდართული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის -- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესი“.
2. 2015 წლის 14 სექტემბრიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №2 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესი“.
3. თანდართული წესი ამოქმედდეს 2015 წლის 14 სექტემბრიდან.
4. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებ-გვერდზე, ფაკულტეტების დეკანატებთან და კანცელარიასთან განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე და გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“;
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30).

წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე,

პროფესორი

დავით ბარათაშვილი



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წარმომადგენლობითი საბჭო**

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82

ნინოშვილის ქ., №35

ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

გადაწყვეტილება №01

ქ. ბათუმი

13 ივლისი, 2016 წ.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებაში დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (2016 წლის 8 ივლისის N61600884), წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებაში შევიდეს დამატება, კერძოდ, წესის №1 დანართს დაემატოს მე-9 მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. გარდამავალი დებულებები

1. 2015-2016 სასწავლო წლის მეხუთე და მეექვსე ეტაპის ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძანება ბსუ-ს რექტორის მიერ შეიძლება გამოიცეს ამ წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2016 წლის 22 ივლისისა.“
2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და დაეგზავნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი

დ. ბარათაშვილი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წ ა რ მ მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო**

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82

ნინოშვილის ქ., №35

ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

გადაწყვეტილება №02

ქ. ბათუმი

27 ივლისი, 2016 წ.

**„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს
წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებაში დამატების შეტანის
თაობაზე**

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის N06 გადაწყვეტილებაში შევიდეს დამატება, კერძოდ, წესის №1 დანართს დაემატოს მე-9 მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. გარდამავალი დებულებები

1. 2015-2016 სასწავლო წლის მეხუთე და მეექვსე ეტაპის ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძანება ბსუ-ს რექტორის მიერ შეიძლება გამოიცეს ამ წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2016 წლის 27 ივლისისა.“
2. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე და დაეგზავნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.
3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი

დ. ბარათაშვილი

(შევიდა დამატება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 13 ივლისის N01 გადაწყვეტილებით)

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“) სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის საფუძველს, ფორმას, პერიოდულობას, გადაუხდელობის სამართლებრივ შედეგებს, ასევე სწავლის საფასურის გადახდისაგან განთავისუფლებისა და სასწავლო/სამეცნიერო მიზნით ბსუ-ს სტუდენტის უცხო ქვეყანაში კონფერენციაზე/სემინარზე/კონგრესზე დასწრების (მონაწილეობის) ნაწილობრივი დაფინანსების საფუძველს.

მუხლი 2. სწავლის საფასურის გადახდის (ადმინისტრაციული რეგისტრაციის) საფუძველი და ფორმა

1. ბსუ-ს სტუდენტის სწავლის საფასურის ოდენობა (ტარიფი) ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით განისაზღვრება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით.
2. სწავლის საფასურის გადახდის საფუძველია ბსუ-ს სტუდენტის აქტიური სტატუსი.
3. სასწავლო გრანტის/სამაგისტრო გრანტის მფლობელი სტუდენტის სწავლის საფასურს ანაზღაურებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სტუდენტის მიერ მოპოვებული გრანტის პროცენტული ოდენობის შესაბამისად.
4. ბსუ-ს სტუდენტი, რომელმაც ვერ მოიპოვა სასწავლო გრანტი/სამაგისტრო გრანტი, ვალდებულია სწავლის საფასური გადაიხადოს (გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია) შემდეგი რეკვიზიტების გათვალისწინებით: მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE 22; მიღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 7 0901 7289.

მუხლი 3. სწავლის საფასურის გადახდის პერიოდულობა

1. ბსუ-ს სტუდენტი, გარდა იმ სტუდენტისა, რომელმაც მოიპოვა 100%-იანი სასწავლო გრანტი/სამაგისტრო გრანტი, ვალდებულია ყოველ სასწავლო სემესტრში გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადოს სწავლის საფასური.
2. სასწავლო სემესტრის დაწყებისა და დასრულების პერიოდი განისაზღვრება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით, რომელიც ქვეყნდება ბსუ-ს ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge).
3. ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დგინდება ადმინისტრაციული რეგისტრაციის დრო და პერიოდულობა (ეტაპები). ამასთან, სწავლის წლიური საფასურის გადახდის პერიოდულობა არ უნდა აღემატებოდეს

სასწავლო წლის განმავლობაში 6 (ექვს) ეტაპს. სტუდენტი ყოველ ეტაპზე სწავლის საფასურს იხდის თანაბარწილად, სწავლის წლიური საფასურის მიხედვით.

4. დოქტორანტი, როგორც სტუდენტი, გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას ამ წესითა და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში. სასწავლო კომპონენტის - არანაკლებ 60 კრედიტის საფასურს იხდის პირველ სასწავლო წელს, სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციული ხარჯის გადახდის ვალდებულება კი, თანაბრად ნაწილდება დოქტორანტის მომდევნო ორი სასწავლო წლის განმავლობაში. დოქტორანტის ფინანსური ვალდებულება აისახება დოქტორანტის, მისი სამეცნიერო ხელმძღვანელისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილ „ხარჯთაღრიცხვაში“, რომელიც არის ბსუ-ს და დოქტორანტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

მუხლი 4. სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა და ფინანსური ვალდებულება

1. სასწავლო სემესტრის დაწყებიდან 45 დღის განმავლობაში ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მას არ ეკისრება ამ სემესტრის სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულება (თუკი გადახდილი აქვს, საკუთარი განცხადების საფუძველზე სრულად უბრუნდება).
2. სასწავლო სემესტრის დაწყებიდან 45 დღის განმავლობაში, პირადი განცხადების შესაბამისად ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში, სტუდენტს დაუბრუნდება წინასწარ გადახდილი მხოლოდ მომდევნო სემესტრის სწავლის საფასური, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე.
3. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას/შეჩერებისას, გასულ პერიოდში გადახდილი სწავლის საფასური სტუდენტს უკან არ დაუბრუნდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას წინასწარ ჰქონდა გადახდილი მომდევნო სასწავლო წლის/სემესტრის სწავლის საფასური. სწავლის საფასურის ეტაპობრივად გადახდის შემთხვევაშიც კი, დაბრუნებას ექვემდებარე მხოლოდ წინასწარ გადახდილი მომდევნო სემესტრის სწავლის საფასური.
4. ბსუ-ს სტუდენტის სტატუსშეჩერებული პირის მიერ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, იგი ვალდებულია გადაიხადოს მასზე დარიცხული ფინანსური დავალიანება იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მას სტატუსის შეჩერების გამო არ მიეცა შესაბამის სემესტრში გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა ან/და მისგან გამოწვეული მიზეზით არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სწავლასთან დაკავშირებით.
5. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში სტუდენტს უნარჩუნდება ხელშეკრულებით დადგენილი სწავლის საფასურის ოდენობა, ხოლო აღდგენის წესით ჩარიცხვის ან/და სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველების აღმოფხვრის შემთხვევაში, იგი ვალდებულია გადაიხადოს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიმდინარე სასწავლო წლისათვის დადგენილი სწავლის საფასური.
6. ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ პერიოდში ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად ცნობის (სასწავლო პროცესში აღდგენის) შემთხვევაში, სტუდენტს ამავე აქტით განესაზღვრება ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 7 (შვიდ) კალენდარულ დღეს.

7. ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტის უფლებებში აღდგენა (სტუდენტის სტატუსის შეჩერების აქტის ძალადაკარგულად ცნობა) დასაშვებია მხოლოდ შიდა მობილობის პერიოდში, ფინანსური დავალიანების დაფარვის შემდეგ.
8. იმ მაგისტრანტების/დოქტორანტების სასწავლო პროცესში დაბრუნება (აღდგენა), რომელთაც ფინანსური დავალიანების გამო შეუჩერდათ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი და შესასრულებლად დარჩენილი აქვთ მხოლოდ „სამაგისტრო ნაშრომის შესრულება“/სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, დასაშვებია ამ წესით განსაზღვრული შეზღუდვების გარეშე.

მუხლი 5. გაცვლითი სასწავლო პროგრამის (პროექტის) მონაწილე ბსუ-ს სტუდენტის ფინანსური ვალდებულება

1. გაცვლითი სასწავლო პროგრამის (პროექტის) მონაწილე ბსუ-ს სტუდენტს (მათ შორის დოქტორანტს) უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის პერიოდში არ უჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი. იგი უფლებამოსილია უცხოეთში გამგზავრებამდე ან/და იქ სწავლის პერიოდში გადაიხადოს ბსუ-ში მიმდინარე პერიოდის სწავლის საფასური, თუმცა გადაუხდელობის შემთხვევაში მას არ შეუჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი (მხოლოდ, უცხოეთიდან ჩამოსვლისა და ბსუ-ში სწავლის გაგრძელებამდე).
2. გაცვლითი სასწავლო პროგრამის (პროექტის) მონაწილე ბსუ-ს სტუდენტი ვალდებულია ბსუ-ს სტუდენტებისათვის დადგენილი, გასული სემესტრის (სემესტრების) სწავლის საფასური გადაიხადოს სრულად, უცხო ქვეყანაში სწავლების პერიოდის დასრულების შემდეგ ბსუ-ში სწავლის გაგრძელებისთანავე (არაუგვიანეს 7 კალენდარული დღისა), ხოლო მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური - მიმდინარე სასწავლო წელს დადგენილი ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში.
3. ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლებლად დაბრუნების შემდეგ შედგენილი „პროგრამების თავსებადობის დასკვნის“ მიხედვით განსხვავებული საგნების (კრედიტების) ათვისების საჭიროებისას, სტუდენტი, რომელსაც გადახდილი აქვს უცხოეთში სწავლის პერიოდის სწავლის საფასური ბსუ-ში, დამატებით არ იხდის ამ კრედიტების საფასურს.
4. უცხოეთში ათვისებული კრედიტების აღიარების შესაბამისად გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტისათვის ერთჯერადი სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე. სტიპენდიის ოდენობა არის სტუდენტისათვის აღიარებული კრედიტების საფასურის ექვივალენტი. სტიპენდიის დანიშვნის აქტი არ გამოიცემა, თუკი გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდენტის მიერ განსხვავებული საგნების ათვისებისათვის უნივერსიტეტმა უნდა გაიღოს დამატებითი ხარჯი (სპეციალურად ამისათვის მოიწვიოს პროფესორ-მასწავლებლები). ასეთ შემთხვევაში სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის შესახებ სამართლებრივი აქტების გამოცემის საფუძველია შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათი და სტუდენტის განცხადება.
5. ამ მუხლით განსაზღვრული ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სტუდენტზე გავრცელდება წინამდებარე წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები.

მუხლი 6. სწავლის საფასური სასწავლო კურსის განმეორებით ან დამატებით გავლისათვის

1. სტუდენტი, მისივე გამოწვეული მიზეზით საგნის (კრედიტების) განმეორებითათვისების საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციულ რეგისტრაციას გაივლის ასათვისებელი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში ერთი კრედიტის საფასური შეადგენს 20 ლარს, განურჩევლად იმისა, თუ რას შეადგენს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასური. პროგრამის ოპტიმალური ვადის გასვლის შემდეგ დამატებითი სემესტრის სტუდენტი, ასევე სტუდენტი, რომელმაც გარე/შიდა მობილობის შედეგად შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამა, საგნის განმეორებით გავლის შემთხვევაში იხდის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საფასურს.
2. აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტის ფინანსური ვალდებულება მომდევნო სემესტრში განისაზღვრება დავალიანებული კრედიტების ოდენობის მიხედვით (შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი სამსახურებრივ ბარათს წარუდგენს ბსუ-ს რექტორს სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით). აღნიშნული უფლებით სტუდენტი ისარგებლებს იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო პროგრამების განხორციელების წესის შესაბამისად, სტუდენტს უფლება არა აქვს მიმდინარე სემესტრში დაარეგისტრიროს სასწავლო კურსი/მოდული, თუკი მისი შესწავლის წინაპირობაა კურსი/მოდული, რომელშიც ექნება უარყოფითი „(F) ჩაიჭრა“ შეფასება.
3. სტუდენტი, რომელიც მიმდინარე სასწავლო წლის პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტების გარდა დამატებით არეგისტრირებს სხვა საგნებს (კრედიტებს), ვალდებულია გადაიხადოს სწავლის (კრედიტის) საფასური იმის გათვალისწინებით, თუ რას შეადგენს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის წლიური საფასური (მაგალითად: სწავლის წლიური საფასურია 2250 ლარი, ერთი კრედიტის საფასური იქნება $(2250: 60 \text{ კრედიტზე}) = 37 \text{ ლარი } 50 \text{ თეთრი}$).

მუხლი 7. სტუდენტთა საუნივერსიტეტო დაფინანსება

1. ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდისაგან, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადით, თავისუფლდებიან მშობლების მზრუნველობას მოკლებული სტუდენტები (დედ-მამით ობოლი ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარებული მშობლების შვილები). სტუდენტის მიერ შესაბამისი განცხადებისა და დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში გამოიცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება.
2. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათები გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, ბსუ-ს სტუდენტთათვის შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ სპეციალური სოციალური პროგრამის ფარგლებში ან/და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.
3. სპეციალურ სოციალურ პროგრამას (დაფინანსების/შეღავათების სახეებს, პირობებს, სტუდენტთა კატეგორიასა და განხორციელების წესს) შეიმუშავებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭოს.
4. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გამოსცემს ბრძანებას ბსუ-ს სტუდენტთათვის სწავლის დაფინანსების/შეღავათის მინიჭების შესახებ.
5. სასწავლო/სამეცნიერო მიზნით ბსუ-ს სტუდენტის უცხო ქვეყანაში კონფერენციაზე/სემინარზე/კონგრესზე დასწრების (მონაწილეობის) ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ სტუდენტის განცხადებას განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო, რომლის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოიცემა შესაბამისი ბრძანება, თუკი სტუდენტების დაფინანსებისათვის ხარჯი ერთი

სემესტრის განმავლობაში არ აღემატება შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ წინა სემესტრში გადახდილისწავლის საფასურის საერთო რაოდენობის 1 (ერთ) %-ს. ამასთან, ერთი სტუდენტის დაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1000 (ათას) ლარს.

მუხლი 8. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შედეგი

1. სტუდენტი, თუკი შესაბამის სემესტრში, რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას - არ გადაიხდის სწავლის საფასურს, ადმინისტრაციული რეგისტრაციის დასრულებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში, შეუჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.
2. სტუდენტს, რომელსაც ბსუ-ს მიმართ გააჩნია ფინანსური დავალიანება, მაგრამ უკვე მინიჭებული აქვს აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია), გავლილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამა, მიეცემა დიპლომი ან ცნობა საგანმანათლებლო პროგრამის მოსმენის შესახებ, ასევე მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია იმ შემთხვევაში, თუკი განაცხადებს თანხმობას ფინანსური ვალდებულების შესრულებისათვის. აღნიშნული შეთანხმება სტუდენტსა და ადმინისტრაციას შორის ფორმდება წერილობით.
3. ბსუ-ს სტუდენტს, რომელსაც წარდგენილი აქვს განცხადება (სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში თუ ბსუ-ს სტუდენტთა მხარდაჭერის ფონდში) სწავლის დაფინანსების მოპოვების მიზნით, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 7 კალენდარული დღის გასვლამდე არ შეუჩერდება ფინანსური დავალიანების გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.
4. ბსუ-ს სტუდენტი უფლებამოსილია (იმ შემთხვევაში თუკი მას ზედმეტად აქვს გადახდილი მისი მომდევნო სემესტრის სწავლის საფასური), წარმოდგენილი განცხადებით მოითხოვოს მის მიერ გადახდილი ზედმეტი თანხიდან ბსუ-ს სხვა სტუდენტის სწავლის საფასურის დაფარვა (გადახდილად ჩათვლა).
5. ნაწილობრივი სასწავლო/სამაგისტრო გრანტის მფლობელ პირს ამ გრანტის პროპორციულობის (სამინისტროდან მიღებული/მისაღები თანხის ოდენობის) გათვალისწინებით, მხოლოდ სასწავლო წლის პირველ სემესტრში შეიძლება არ შეუჩერდეს სტუდენტის სტატუსი.
6. ბსუ-ს სტუდენტს, ერთი სასწავლო სემესტრის განმავლობაში 100 ლარამდე ოდენობით დავალიანების ფარგლებში, შეიძლება არ შეუჩერდეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 9. გარდამავალი დებულებები

1. 2015-2016 სასწავლო წლის მეხუთე და მეექვსე ეტაპის ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძანება ბსუ-ს რექტორის მიერ შეიძლება გამოიცეს ამ წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 2016 წლის 27 ივლისისა (შევიდა დამატება ბსუ -ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 27 ივლისის N02 გადაწყვეტილებით).